



ხელის მოწერა და დასაბუთო... რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარეშად...

განცხადების ფასი: ჩველს ბრძოლის სტრატეგია პირველ გვერდზე პეტრე ლის 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამკლავი ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე), და ელბრება 5 მანეთი.

„საქართველო“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევიმდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ანაზღაურება: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი.

ნაბიჯზე, მაგრამ იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ დიდი ზიანი. გვიდავის ახლო-მახლო 1000 ოსმალით გვამი აღმოაჩინეს.

პატრონობა, 15 ივნისი. მთავარი შტაბის ოფიციალური მოხსენება. ვისლის მარცხენა ნაპირზე, იქაროვის რაიონში, სასტიკი ბრძოლა არ შეწყვეტილა მთელი ღამის განმავლობაში.

ბუჰარასტი, 14 ივნისი. წინასწარი შეთანხმების შემდეგ, რომელიც კონსერვატიული დემოკრატიული პარტიის მეთაურებს, ბ-ნ ლავოვარის და ტაკონისკუს შორის მოხდა, ორივე პარტიის წევრები ერთად შეიყარნენ და საერთო რეზოლუცია გამოიტანეს.

ჩვენ კონსერვატიული და კონსერვატიული-დემოკრატიული პარტიის წევრები, ვალიარებთ რომ დღეს პარტიულ შეთანხმებათა მაღალ რუმინის ეროვნული იდეალის განხორციელება სდას, ვინაიდან ორივე პარტიის შეთანხმებას, რომ რუმინია გვერდში ამოუდგეს ოთხთა შეთანხმებას, ვაცხადებთ საქვეყნოდ რომ ჩვენ ერთად ვითანამშრომლებთ რუმინის საგარეო პოლიტიკის საკითხში და ვსთხოვთ ჩვენს ბელადებს, თავიანთი ძალ-ღონე მოახმარონ ამ მიზნისა და იმ პოლიტიკურ სისტემის განხორციელებას, რომელიც მთ შეიმუშავეს და ჩვენგანაც მოწონებულია.

ველის ფაქტებით დაუმტკიცეს სახალხო წარმომადგენლებს, რომ კერძონაშხთან მომხდარი შეიარაღებული შეტაკება ოს-მალბებთან, ამ უკანასკნელთა ძალმომრეობით იყო გამოწვეული.

პარიზი, 14 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ჩრდილოეთით და ცენტრში ქვეითა ჯარს შეტაკება არა ჰქონია. საარტილერიო ბრძოლა საქმოდ შეკერი იყო, განსაკუთრებით ბელგიაში, არასის ჩრდილოეთით. არგონებში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

საქართველოს მინისტრის დათხოვნა

სუბომლინოვის სამსახურის თავის დატოვების გამო მოსკოვის საზოგადო მოღვაწეთა შორის ანკეტა გაიმართა: ქალაქის თავის ჩელნოკის აზრით, ეს ნიშანია ხალხის და მთავრობის დაახლოვებისა. თავად ლეოვს უთქვამს, რომ სუბომლინოვის გადაყენებას დიდის თანაგრძობით შეხედება რუსეთის საზოგადოებას. გუჩკოვმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს ფაქტი თავგანდობიანად გერმანიისთვის და უდრის ერთ ბრწყინვალე გამარჯვებას—საუკეთესო კანდიდატად სამხედრო მინისტრისა უნდა ჩათვალოს გენერალ პოლივანოვი. (რ. უ.)

მინისტრების გამოცვლა რუსეთში.

„რუსკოე სლოვო“ პეტროგრადიდან ატყობინებენ, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნიშნავენ კრივოშინს და მის ადგილზე სახელმწიფო საბჭოს წევრს თავად ვასილჩიკოვს. ვაქრობა-მრეწველობის მინისტრად ინიშნება ყოფილი ქალაქის თავი მოსკოვისა ნიკოლოზ გუჩკოვი ანუ ეხლანდელი ფინანსთა მინისტრი ბარკი. ფინანსთა მინისტრად—სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსეიევი, ან ყოფილი თანამშრომელი ფინანსთა მინისტრისა პოკოვსკი; უწყობის სინოდის ობერ-ბროკურორად—მოსკოვის თავად-ახაურთა მარშალი სამარინი ან მოსკოვის ოლქის მზრუნველი ტიხომიროვი, ოუსტიციის მინისტრად—მანუსხინი და სამხედრო მინისტრად—პოლივანოვი.

კონტრაბანდი დახმარება

ხმა გაგრძელდა, ვითომც ჰავის მთავრობა კონტრაბანდს არ ეწინააღმდეგებოდეს და პირ-იქით ხელსაც უწყობდეს. ამბობენ, ვითომც გერმანიის წინააღმდეგ მემარსახელმწიფოთა ხარჯით ჰავის მთავრობა გერმანიელებს ყოველგვარ საქონელს აწვდიდეს. მაგრამ რამდენად მართალია, არავინ იცის. (დენ.)

ბუკოვინაში ჯარს თავს უყრიან

როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან, ბუკოვინაში ავსტრიელები დიდძალ ჯარს უყრიან თავს და აუარებელი საომარი მასალა მოაქვთ. (ზ. რ.)

ვილჰელმის ბრძანება

გაზეთ „დენს“ ატყობინებენ: გერმანულ ტყვეებს ვილჰელმის და გინდენბურგის ბრძანება უპოვის, სადაც ნათქვამია: 28 ივნისის ვარშავა აღებულ იქნება და ზავიც ჩამოვირდებაო (ზ. რ.)

კრუპის ქარხნის მუშები.

მთელს დღე და ღამეს მუშაობენ. ის-მის გაწუწუებული გუგუნის მაშინებისა. ქარხანაში სიცხის ბული სდგას; საღმრთო ქურაზე ჯოჯოხეთური ცეცხლი პრიალებს. მუშები საფლავიდან ამოსულებს ჰგვანან: გამხდრები, თვალბ ზიკვირუნ-ლი, ზოგს ახველებს, რაც მუშის ფოლტების დაზიანებას მოწმობს. მაინც მუშაობენ და მუშაობენ.

მუშები ამბობენ: დასვენებას ომის გათავებისას ველირსებთო. სვამენ დიდძალ რძეს, რომ ტყვის მტვერისაგან თანდათან მოხმამე თავიდან აიცილონ. მუშაობისგან დასუსტებულ მუშებს ექიმები ძარღვებში ქიმიურ სითხეს უშვებენ და სიკოცხლს ანიჭებენ. ასე გაზინჯეთ,

ლოპტორი მადიციინა

მოსე ანთიმოსის ძე კალანდარიშვილი

ფურცლი ექიმი ტფ. კაღატა კორპუსისა. ზავგვა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კაღატა კორპუსის აგარაკში.

კბილის ექიმი ქალი ნინო რსხილაძე

იღებს ავადმყოფებს დღითი 9—2 ს. და სლ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპინი შესახვევის 21.

მ. გ. რ. შ. შ. კლინიკის ექიმი ნ. მ. კლინიკის ექიმი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს. აკაკის ქუჩა, შეფის აფთაქთან

რუს სათქაელი არაფარი აკვთ.

„სახალხო ფურცლის“ მთელი რიგი არასაკადრის წერილების შემდეგ, საცა გედევანიშვილები „თევზებს იჭერდნენ“, კიტა აბაშიძენი შიშოლზედ ლაპარაკს სარტყილად ამწეოდნენ და მეთაურებს ჩვენს ვინაობას და გამიჯვნაზედ ლაპარაკობდნენ,—ჩვენ დავსტამბეთ საპასუხო წერილი (საქართველო № 19), საცა 1) მოვითხოვით პირდაპირ პასუხს კიტა აბაშიძის საქციელის გამო, მოვითხოვით მის დაგმობას, 2) ვკითხოვლობით, რა ჰქონდა საერთო კიტა აბაშიძის საქციელს ჩვენს რედაქტორისადმი მიმართვასთან, რომ იგი (კიტა) მას აქებდა და მფარველობას უწევდა, მან კი უნდაღეობა გამოიჩინაო. 3) პასუხს ვაძლეოდით „სახალხოს“ შეკითხვა-სურვილზედ თუ რა გვეყოფს ჩვენ და იმით და ამისთანავე ვკითხვადით, თუ კიდევ რა წებავთ. 4) აღძრული გვექონდა მრავალი საკითხი, რომელიც „სახალხომ“ თავის მიზნად უმართებულად გადასწევტა, 5) იყო ჩვენი მოთხოვნა: მივიტოვებულად ნუ კი ლაპარაკობთ, და სხვის თვალში თქვენს ჩირქს ჩვენ ნუ კი გვცხებთ, არამედ წამოაყენეთ პირდაპირ, ჩამოა

კალიბეთ მკაფიოდ თქვენი ბრალდებანი თუ უკმაყოფილებანი, თქვენი ის საკითხები, რაზედაც პირდაპირი პასუხი გენებათ და მაშინ შეგვეძლება მხოლოდ გარკვეულ მოპირდაპირესთან გარკვეული ლაპარაკი, პირდაპირა სიტყვით: რა გწიდათ?\*

გვანი ამის შემდეგ ყველასათვის ცხადია, თუ რა პასუხი იყო საჭირო, მაგრამ „სახალხო“ სწერს: „...მიუხედავად ჩვენი გულთბილი სურვილისა, რომ როგორმე დაგვეკმაყოფილებინა ავტორის თაფოყვარება (?!?!), ისეთი ვერა აღმოვაჩინეთ რა მის წერილში, რომ ღირსი იყოს პასუხისა და შეკამათებისა“.

ერთი სიტყვით, „სახალხო ფურცელმა“ პასუხი არ „არ გვაკადრია“, ღირსად არ გავგზავდა. ჩვენ ხელა სრულიად დამყოფილებულნი ვართ, რადგან ეს ჩვეულებრივ ხმის გაკმენდათ მიგვანია. როცა სათქმელი აღარა აქვს-რა აღმაინას-მეტრ რა გზაა, უნდა ამაყი პოზა მიიღოს და... ასპარეზიდან გავიდეს. გზა მშვიდობისა. ჩვენ ჯერ ისე არ დავცემულვართ, რომ „ვეცემოთ წაქცეულს“ და დეე თქვენც იხტბარს ნუ ვაიტხვავთ. მხოლოდ ნუ დაივიწყებთ, რომ მკითხველმაც იცის ფასი იხტბარისა. რ. გაბაშვილი.

პატრონობა, 15 ივნისი.

მთავარი შტაბის ოფიციალური ცნობა. ცნობებია, რომ გერმანიის მთავარსარდალს ბრძანება გაუტია: რუსთა ის ტყვე ჯარისკაცები, ვისაც აღმოაჩნდა „ბათ-ღუმ-ღუმის“ ტყუილი, ანუ სხვა რაიმე მითხრობის ასაფეთქებელი ტყვიანი, მას სამხედრო ტყვედ აღარ იცნობენ და იქვე ხვრეტენ. ეს ბრძანება შექველია იმიტომ არის გამოცემული, რომ რუსთა ჯარებს სახელი გაუფუჭონ და დაძვარონ გერმანელთა ჯარისკაცების ძალდატანება რუს ტყვეებზე და დაპირლებზე. ამით რუსეთის მთავარი სარდალი საყოველთაოდ აცხადებს, რომ არავითარი ასაფეთქებელი ტყვიები არცა მზადდება და არც იხმარება რუსთა ჯარისკაცების მიერ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი ჯარისკაცები ართმევენ ავსტრო-გერმანულ ტყვეებს ასეთ ტყვიებს, უკანვე ესვრიან ხოლმე მოსულ მტრებს.

აღიწია, 14 ივნისი. ინგლისის მთავრობამ გამოაცხადა თავიანთი საზღვაო მთავარსარდალის დეპეშა: „გუგოსის ზღვაში ოსმალ-გერმანელებს დიდ დახმარებას უწევენ ბერძენთა გემები. ამ შემთხვევაში მათი მოქმედება ეწინააღმდეგება ნეიტრალიტეტის პრინციპებს; რასაც შეიძლება მოჰყვეს სამუხარო შედეგი, თუნდაც ზოგიერთი სავაჭრო გემთაგანი ნეიტრალიტეტს იცავდეს.“

კონტრაბანდი, 14 ივნისი.

სავაჭრო საქმეთა სამინისტრომ მიიღო დეპეშა იმის შესახებ, რომ ბულგარეთში გაგზავნილი თხვები გერმანიის სამხრეთ საზღვრით, უკვე დანიშნულებისამერ შეუტანიათ.

რომი, 14 ივნისი. განსაკუთრებული სამხედრო ამბავი არა მომხდარა რა. ტროლე-ტრენტინოს რაიონში საარტილერიო ბრძოლა თანდათან ძლიერდება. კარინაში ავსტრიელები ამოდდ სცილობდნენ ცეცხლკაფელის მწვერვალები დაეკრათ. უკანასკნელ ბრძოლის დროს მოკვრივეთ 200 თოფი, 20 ათასი პატრონა და ორი ტყვისმჭრეველი. ზოგიერთ ადგილას ავსტრიელები შხამიან გაზების ყუმბარებს უშენენ...

პატრონობა, 15 ივნისი.

სახელმწიფოს საბჭოს წევრი გენერალ-ადიუტანტი სუბომლინოვი საკუთარის თხოვნის თანახმად გადაყენებულ იქნა სამხედრო მინისტრის თანამდებობისაგან. სახელმწიფო საბჭოს წევრობა და გენერალ-ადიუტანტობისა ჩინი დაუნარჩუნეს.

შეაღწეა დებრძანა სახელმწიფო საბჭოს წევრს, ინფანტერიის გენერალს პოლივანოვს განავს სამხედრო სამინისტრო და თანაც სახელმწიფო საბჭოს წევრად იმყოფებოდეს.

მის დღიურში

გიგოხილვა

ვისლის მარცხენა ნაპირის ერთ ნაწილში, რადომის სამხრეთით დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ ბრძოლა კვლავ განახლდა. დეკემბრიდან სჩანს, რომ ამ რაიონში იბრძვიან ავსტრიელები, რომელნიც ლაზობენ ვისლის ნაპირი ჩაიდონ ხელში, გალმა გამოვიდნენ, გალიციიდან ჩრდილოეთით მომავალ თავიანთ ჯარს ხელი ისიცენ და ვადიდნენ ლიუბლინ—ხოლმის გზაზე. ამ მოძრაობით მათ აზრად აქვთ მოლუნონ ვარშავის გარშემო რაკალი და სცადონ ვისლის გალმა დაბანაკებულ რუსის ჯარს გზების მოჭრით დაემუქრენ. რამდენიმე დღის წინად ჩვენ აზრი გამოვსთქვით, რომ ავსტრო-გერმანელთათვის ამ ხაზზე გასვლას დიდი მნიშვნელობა ექნება. მას შემდეგ რუსეთს რაგან მიმართულებით სიჩუმე ჩამოვიარდა, რომელიც სამი დღის წინად ისევე დაიროდა. მეკენზენის ჯარი დასვენებისა და გვალვების შემდეგ კვლავ დაიძრა ჩრდილოეთისკენ და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ. არაფერი ისმის მხოლოდ შესახებ ზავივოსტ-ტომაშვილის ხაზის შესახებ, რომელიც დაბურულ ტყეებისა და კბობების გამო დიდ ჯარს მოძრაობას

გაუძნელებს. მეკენზენის ჯარი 80 ვერსის მანძილზეა გაქიშული და, დღევანდელ დეკემბრის ცნობით, ამ ვამად იბრძვის ტომაშვილ-ბელ-კამენკას ხაზზე. ტომაშვილი ლიუბლინის გუბერნიაშია, რუსეთს რაგან ჩრდილოეთით, 30 ვერსის მანძილზე; ბელზი გალიციაშია, რაგა რუსეთს აღმოსავლეთით, 30 ვერსის მანძილზე, სოკალ-რაგან რკინის გზაზე. აქედან ბრძოლის პირი სამხრეთით იხრება და ჩადის კამენკაზე, რომელიც ლვოვიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს 30 ვერსის მანძილზე.

მ. ბ. ლი.

დეკემბერი

თბილისი, 15 ივნისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 13 ივნისს ზღვის რაიონით ოსმალები ცდილობდნენ ჩვენი მარცხენა ფრთის შემოტევას, მაგრამ მათი იერიშები უნაყოფო იყო. ოლთისის მიმართულებით, ტარტუშელების რაიონში ოსმალები შეეცადნენ ჩვენს როტაზე იერიშის მოტანას, მაგრამ უკუ ვავდეთ. გვიდავის ქედთან ოსმალებმა ისარგებლეს ბურუსით და მოუახლოვდნენ ჩვენს თხრისებს 400

მთავარი მიზეზები, რომელნიც ხელს უწყობდნენ და უფრო აღრმავებდნენ თვალსაჩინო მყიდველი ძალა, მეტადრე აგარაულ სფეროში,—ჩვენში სოციალის-

უწინ თუ ქიმიური შხამი ადამიანს ჰკლავდა, დღეს ისე შეიზავეს რომ დაქანცულ მუშას სიცოცხლეს უხანგრძლივებს. (რეჩ)

**ოხმალთა სულთანის ავადმყოფობა**

„ზაკ. რეჩს“ ატყობინებენ: ოპერაციის შემდეგ ოხმალთა სულთანის გამობრუნება საეჭვო შეიქნა.

**იმედს არ ჰკარგავენ**

„რუსკოე სლოვოს“ ატყობინებენ: გერმანელები საზამთროდ ომისთვის ემზადებიან. შეუქვეყნეს თბილი ტანსაცმელი და თხრილების გასათბობი ქურები.

ამვე გაზეთში ერთ-ერთი თანამშრომელი სწერს: თავს ნუ მოვიტყუებთ და ნუ ვიფარისევლებთ, ლევის ალბა აესტრია-გერმანიის სიმამაცეს უნდა მიეწეროს. მაგრამ ჩვენვე გავაზიანებთ ლევის ალბის მნიშვნელობა. ლევის გალიციის გულად ვსთვლიდით, ვზემოვობდით, როცა პრემიული ავიღეთ და განა რა გასაკვირველია რომ მათი დაქარგვა გულს გვწვევდა. დაუთმეთ ლევი, შეიძლება მთლად გალიციიდან და ვისლიდან ჯარი გამოვიყვანოთ მაგრამ ამან იმედი არ უნდა დაგვიკარგოს.

„ნოვ. ვრემ.“ ატყობინებენ, დღესდღეობით ყურადღების ცენტრად კვლავ პრანსონის რაიონი გარდაიქცა. თუ ვაგვისენებთ, რომ გერმანელები ყოველ ახალ ბრძოლის წინ დემონსტრაციებს ახდენენ ხოლმე, მაშინ ცხადი იქნება, რომ პრანსონიან გერმანელები მოსამზადებელ ოპერაციას ახდენენ. ექვს გარეშეა, რომ გერმანელები ამჟამად სულ იმის ფიქრში არიან, დენტსრის რაიონი მთელი ბრძოლის პირითურთ გასწვინდონ რუსებისგან.

„ბირე. ვედ.“ სწერს, რუსების დახვევა გალიციიდან სტრატეგიული მოსაზრებით აიხსნება და ეს დახვევა აღმოსავლეთ ფრონტის საერთო მდგომარეობაზე არავითარ გავლენას არ იქონიებს.

**პ რ ე ს ა**

„სახალხო“-ს წერილმა „საქართველო“-სადმი მოძღვნილმა, გამოიწვია „აზრის“ ჩვენი დავის დახასიათება, რომელიც გუშინ დაგებულთ. ამვე წერილს ქუთათური „სამშობლო“ ასეთ პასუხს აძლევს და ასე ახასიათებს „სახალხო“-ს:

„სახ. ფ.“ არც აციებს, არც აცხელებს და იმ გვერდს, რომელიც მტკიცე, პირდაპირს და შეურყეველს რწმენით გამოვლდა წმინდა **ეროვნულ-დემოკრატიული** დროშით ხელში, უპრინციპობა და **ეროვნულ-პოლიტიკურად** მოუმზადებელს უწოდებს... რათა? იმიტომ, რომ უნდა თვითვე შეინარჩუნოს „სურვილი საზოგადოებაში გაბატონებისა“... პატივცემული გაზეთი „სახ. ფურ.“

ვერ ურიგდება იმ გარემოებას, რომ „**ორ ცნობილ საზოგადოებრივ მიმართულებას**“ მესამე ამოუდგა გვერდში და მათ ნაკლსა და ღირსებას კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს.

მართალია, იყო დრო, როცა მთელი საქართველო სოციალისტობდა და გველენაც იმ პარტიას ჰქონდა, რომელიც უფრო ბევრ სიკეთეს **ჰპირდებოდა** მასს, ხალხს, მაგრამ ვაიდა დრო, აბობოქრებულ და აღტაცებულ სურვილებს ხალხისას ცხოვრების სინამდვილემ ფრთები შეაჭრა და **პირიბანი** ისევ ოცნების სფეროში დარჩა და გამოფხიზლებულმა ხალხმა საქართველოსიამ თვლები მოიფხვინა მისი ნამდვილი ჰორისუფალონიც გამოფხიზლდნენ ოცნების ბურანი-საგან და საქართველოს რეალურ მოთხოვნილებას ყურადღება მიაქციეს, შეაფასეს იმ ორ ცნობილ მიმართულებასაგან: ნამოძღვრევი ღირებულებანი და დანახვა, რომ თუ **„ორივე ცნობილი მიმართულება“** ჩვენის, ქართველების, ცხოვრებისათვის ყალბი არ იყვნენ, ერთ-ერთი მაინც „იმ მიმართულებათაგანი“ უსათუოდ „ორ სკამზე იჯდა“ და ცერაფერს რეალურს და გადაჭირებს ჩვენს ცხოვრებას ვერ შესდგენდა.

ასეთი „ორ სკამზე იჯდომა“ ბედმა სწორედ „სახალხო“-ს არგუნა და ახლა, როცა მესამე გვერდი—ნამდვილი **ეროვნულ-დემოკრატიული**—მთის ამ ორ სკამზე იჯდომას „აპოკალიფსის“ სხვა რაღა დარჩენია „სახ. ფურ“-ს, რომ დღემდე-ყოფის არ მოვლდეს და უპრინციპობა და მოუმზადებლობა არ უეჭიროს?

ჩვენ არ ვუწოდებთ ასეთ მათ საქციელს შესაფერის ხელს, ჩვენ მხოლოდ გვინდა ვიცოდეთ, რას უფასოს „სახ. ფურ“-ს „პრინციპი“ და მომზადება? ნუ თუ ის არის პრინციპი, რომ მთელი ნახევარი საქართველო სხვას უბოძო, ან ის, რომ რევრანსები აკეთო მარჯვენე თუ მარცხენე, ან ის რომ არ არის პრინციპი, რომ ადამიანმა შექმნას ერთ გვარი **კახტა**, იყოლიოს თავისი დამკაშები, თავისი ბრმა მიმდევარნი, რომელთაც, რასაც გინდა, იმას ათქმევინებს თუ აწერინებს, ან შეიძლება ის იყოს პრინციპი და მომზადება, რომ არავის არ მისცეთ გზა-სავალი და გამოიყენოს ისა თანავე კისერში ხელი წაუჭირო და დახარჩო. ან შეიძლება ის იყოს პრინციპი, რომ სინამდვილეს, სიმართლეს ხელი დაფაროს და რაკი „ჩემი პარტიისა არის“ სხვა ვჯავრებ ვაჯრებ.

ღიან, თუ ეს **პრინციპებია**, მაშინ ჩვენ ეროვნულ-დემოკრატიული მართლაც **უპრინციპონი** ვყოფილვართ და არც გვინდა ასეთი „პრინციპიანობა“... ჩვენი მიზანია ქართველი ხალხის აღორძინება ყოველის მხრივ, ჩვენი მასულ-

დგმულებელია დაცვა საქართველოს ისტორიულ მიწა-წყლისა ქართველებისათვის, ჩვენი იდეალია გათვითცნობიერება და გავლენა ქართველი შრომელი ხალხისა.

ჩვენ გვგავს ყოველგვარი **კახტა** და გვეზიზიება პრივილეგიები და „შენ-ჩემობა“ საზოგადო. საქვეყნო საქმეში!

საქართველო ქართველებისათვის, გზა და ასპარეზი ნამდვილ ქართველ მოღვაწეებს...!

ძირს ყოველგვარი სიყალბე და „შენ-ჩემობა“ ქართულსა და საქართველოს შესახებ საქმეებში!

არ მოგწონთ ჩვენი განზრახვა და რწმენა?—თქვენი ნებაა, მხოლოდ ჩვენ კი ვგონია, რომ ქვეყნის ხსნა მხოლოდ პირდაპირობასა და უანგარობაშია. ჩვენ არავითარი სურვილი არა გვაქვს „სახო“ გადგებაში გაბატონებისა“. ეს ისევე „იმ ორმა ცნობილმა მიმართულებამ“ დაიჩემოს, ჩვენ კი ერთგვარად გვეულს **ბატონიც** და **ყმაც** გაუმარჯოს თავისუფალ ღირსეულ ქართველს თავისუფალს ღირსეულ ქართველს თავისუფალს ღირსეულ ქართველს თავისუფალს... შეიძლება ეს უპრინციპობა გვენოთ?!

— იყავნ ნება თქვენი!

ბედმა საქართველოს საოცნებოდ არა სცალო: მას „პური არსობისა“ სჭირია და ვინც მას პურის მაგიერ ქვას მიაწოდებს, სასტიკ ბრძოლას გამოუვცხადებთ. — ხოლო ვინც საქართველოს დღეგრძელობაზე იფიქრებს, იმას ტაშს დაუჭრავთ, რა მიმართულებისაც უნდა იყოს იგი „თავისთვის და თავისიანებში“...

**პროვინციული თვითუაზნება და ქართველი პირი**

უმეგალითო ომი თანდათან ვითარდება და უფრო მეტს სიმკაცრეს იჩენს. დღიდან თოფის გასროლისა სარაიგოში ეგრეთის პოლიტიკურ პორიზონტს შავი ღრუბლები მოაწვა. დიდი ხანია კაცობრიობა მოელოდა, რომ სადაც არის იელვებს ნაბერკალი, რომელიც შემდეგ ცეცხლის ალად მოდებოდა ევროპას. იმ თავითვე ცხადი იყო აგრეთვე, რომ ხელმძღვანელ პოლიტიკის მარწმომბედიერებს და სახელმწიფოებს თუ მოუეცოდათ ერთმანეთში უთანხმოება, თორემ მსოფლიო საკითხების გარჩევასა და სამოქმედო ფარგლის განსაზღვრაში წერილი ერებს საქმე არ ეწვებოდათ. გაბატონებულ ერთა პოლიტიკა კი მუდამ ასეთი იყო: გამოესარჩლე წვირლ ერებს სადაც და როდესაც ამას მოითხოვდეს სახელმწიფოს უმაღლესი ინტერესებო. ასეთი ზოგადი განსაზღვრა წვირლ ერთა ინტერესებისა მოკლებულია ყოველგვარ

უფლებრივ გარანტიებს. სხვისი ნების უღონესობის აღსარებასა და სახელმწიფოს კატეგორიულ იმპერატივის გამეფებას იქ, სადაც თავისუფლი შეთანხმებისა და ბრგანიულ-კულტურულ განვითარების პონიკოს უნდა ჰქონდეს უპირატესობა დათმობილი, რასაკვირველია, ლოლიკურ შედეგად ის მოჰყვებოდა, რომ წვირილი ერები, როგორც უფლებრივ გარანტიის მოკლებული სოცალური კატეგორია, სრულიადაც უნდა აღფხვილოყვნენ პრისაგან დედიამიფისა. ორგანიულ განვითარებას მოკლებული ბიოლოგიური არსება კვდება, ვერ ჰფურჩქენის თავის სასიცოცხლო ძალებს. აგრეთვე წვირილი ერთი, რომელიც უფრთხილია და თან უფრთხილესი ბიოლოგიური-საზოგადოებრივი მოვლენაა. დღეს ორგანიულ განვითარების პრინციპის ძლევა-მოსილებას ვეველი ვანიციდის და აშკარად ხედავს. თანამედროვე უზარ-მაზარ სახელმწიფოების უზენაესი ნება საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ მათ სწორედ ისე ხელოვნურად და სწრაფად შემოეკრიბნათ თავის გარშემო სახელმწიფოს დასაცავად მნიშვნელობის კულტურულ-ეკონომიური ორგანიზაციები, როგორც ეს შესდგენს ჯარის მობილიზაციის საქმეში. ეხლანდელი რძის წარმოება მოითხოვს ძალით არაჩვეულებრივ კონცენტრაციას. უკანასკნელი შეუძლებელია, თუ არ გამოეცხადა ნდობა საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. სწორედ ამ გარემოებამ წამოაყენა წვირილი ერების საკითხი.

ცნობილია, რომ ასეთი ერები ქვეყნის მართვა-გამგეობაში არ იღებენ აქტიურ მტანაწილეობას, ამის კი შედეგად ისა სდევს, რომ მრავალი პოლიტიკური და კულტურ-ეკონომიური ხასიათის სამოქმედო სარბიელი წვირილი ერის ღირსეულ შვილთათვის დახშული და მიუწვდომელია. გარედ დგომა და შორიდან ბუტიანობა ვერაფერი ნუგეში და იმედია ასეთი ერებისათვის. ამასთან თანამედროვე ომმა ისიც გამოაშკარადა, რომ მოხსენებულნი ერები არც ისე უღონონი და უძლურნი ყოფილან, რომ მათი სიტყვისა და აზრისათვის დიდრონ სახელმწიფოებს ყურადღება არ მიექცია. ძველი უხუცესელება ამ ერებზე თანდათან ჰქრება. კაცობრიობა პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთ მოდგმისა და ინტერესებს იქით ვერაფერს ხედავდნენ, დღეს ძმობა—ერთობის ქადაგების გუნებაზე დამდგარან. რასაკვირველია, ეს თავისთავად უზრალეა და წარმატალი მოვლენაა, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად დარჩება. ძველი

დროის რეტორიკა გრძნობენ სახელმწიფოს თავდაცვით ყველა ეროვნულ ორგანიზაციასა და საზოგადოებათა ტრენინგ-საქმიანო-საკვირვებლსა. განსაკუთრებით საგრძნობია ეს რუსეთში მცხოვრებ წვირლ ერთათვის. ეხლანდელმა ომმა ნათლად გამოაშკარადა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ძირითადი დეფექტები, არსებითი ნაკლებუნებანი. იქ, სადაც სახელმწიფოს საზღვრებში მრავალი ერი მოსახლეობს, შეუძლებელია საერთო სამიწერიო საქმეების შეუცდომლად და მიუდგომლად მართვა, თუ თავის დროზე უზრუნველყოფილი და დაკული არ არის ის პირობები, რომელთა არსებობის მიხედვით შესაძლებელია ლაპარაკი ერის კანონიერ უფლებებზე და იმ უანგარო უზადო მსხვერპლზე, რომლის გაწირვას მისგან მოითხოვენ სახელმწიფოს უზენაესი ინტერესის გულისათვის. სადაც არ არის ურთიერთისადმი ნდობა და ადამიანისა თუ ერის წმიდათა წმიდისადმი პატივით მოპყრობა, იქ შეუძლებელია ინტერესთა ფართო შეგნება. ყოველივე ეროვნულ-პოლიტიკური შეგნება კი ემყარება ძალით რეალურ განწყობილებას და იმ მოსალოდნელ სარგებლობას, რასაც გამოელის ესა თუ ის ერი სხვა და სხვა პოლიტიკურ სიტუაციისაგან.

სწორედ ასე აყენებენ საკითხს ჩვენი ძველი მეზობლები და უტილიტარისტული პრინციპი ეკონომიური მოქმედების სარბიელისა ვადააქვთ პრაქტიკულ პოლიტიკაშიც. სწორია მათი პოლიტიკური აღლო, ან მართალია ის გზა, რომელიც ამოიჩინეს და ეროვნულ იდეალის განსახორციელებლად, — ეს ცალკე სავანია, მხოლოდ საულისხნობა, რომ სომხის ერს ამ წმინდა წყლის უტილიტარისტულ-მერკანტილისტურ მოტივებით ამოძრავება გამოაქვს უზადო, უანგარო მსხვერპლის გაწირვად სახელმწიფოს უზენაესი ინტერესებისათვის.

სულ სხვა პირობებშია დღეს ქართველი ერის პოლიტიკური შეგნების განვითარება. ერს, რომელსაც მრავალთასის წლის ისტორია და კულტურა აქვს, არ ესაქიროება თავის კულტურულ მომწიფებულობაზე ხშირი ლაპარაკი. კულტურა და პოლიტიკა, მართალია, დღეს ერთმეორეს დაშორდა და განირჩევა ერთმანეთისაგან, მაგრამ ის კოოპირაციის ჩარხის ტრაილის გამო დაუყოვნებლივ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, აქვს უფლება იარსებოს და ხმაშალა გაიძახოდეს თავის ინტერესებზე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში კულტურულ ერთა ციკლიდან უნდა ამოგვეშალა „დიდი პოლონეთი“. მაგრამ ის, რაც შესაძლებელია განყენებულ აზროვნებაში, შეუ-

**მეცნიერება**

(დასასრული)

(გვ 4: სემ. სრბ. სტადო, ქართ. არვე (პარვე) სტადო.)

საეჭოა, რომ სრბ იყოს სტადო და არა გროვა საქონელთა საზოგადოდ. ალბად მას ენათესავება თათრ. სურა გროვა, ფარა საქონელთა ან ნადირთა. ამას გარდა, თუ არვე (და არა პარვე) უღრის სემიტურს სრბ-ს და მასავით ნიშნავს სტადო-ს, რატომ არ უნდა ვიცოდეთ რისას? ჩვენში ნაირ-ნაირი სტადო-ს, სახელდობრ (ლექსიკ. ს. ორბელი): **ცხენთა რება**, **ძროხათა მროწევი**, ნახირი, **ცხვართა სამწყსო**, **თხათა არვე**, **ღორთა კულტი**, **ირემთა ფარა**, **ნადირთა და ძაღლთა ხრო**, **ფრინველთა გუნდი**. რომელ ამათგანს ეფარდება სემიტური სრბ?

გვ. 4: სემიტ. სფნ. ნასტილალ. **პოკრულ**, ქართ. ფინა (ჰინა) ნასტილალ.

მაგრამ ქართ. ფინა ეფარდება ბერძნულს „ფინო“ ჩვენება, გამოჩინება, გამოშვება, გამოფენა, დანახება, ნათლის მოფენა, სახილველად გამოტანა. აქედან გვაქვს გამოფენა, სული წმიდის მოფენა და სხვ. ერი გამოიფინა, ფინადაზად დადებია.

გვ. 4: სემიტ. **მბლ** **დუხანე**, ქართ. 1) სული (სველი) **დუხა**, **დუხანე** და 2) სუნა (სვენი) **დუხანე**, **ვაჰაჰ** ქართ. სველი=სუელი იმავე ფსევსაა, რომლიდანაც თათრ. **სუ** წყალი, **სუ-ლამად** მორწყვა, **სუ-ლუ** ჰკობა, **სუ-ლუ** წყლიანი. „სვენი“ ქართულში არ არსებობს, ხოლო სული არის იგივე სური (სულ-ნელი=სურ-ნელი) და შური (მეგრ.) და სრულიად ეფარდება არიულს „ასურა“, რომელსაც ა. შლეინერი თავის **Compendium**-ში (გვ. 194 და 355) თარგმნის სიტყვებით „ცხოველი სული“, „სული სიცოცხლისა“, „ცოცხალი“.

„Основн. табл.-ის ავქსონი თავის თხზულებებში („Яфетическіе элементы въ языкахъ Арменіа“, გვ. 179, და „къ вопросу о положеніи аѣазскаго языка среди яфетическихъ“, გვ. 6) აფხაზურს აფხე სული უტოლებს ქართულს სული, მაგრამ აფხე ეფარდება არა სულს, არამედ ქართ. ფინა, ფშენას (ინგ. ფშენა) და ბერძნულს **fusao**, რომელიც აგრეთვე ნიშნავს ფშეს. ალბად იგი ენათესავება ბერძნ. ფსიხ სული. სახარებაში ფშენივერი გვხვდება ბაღლად ცნებისა სულიერი.

გვ. 5: შენ. **resp.** შენ. **корень груз.** слова **შვილი** (შვინი) **есть точный эквивалентъ семит. ჰენ, отъ котораго, слѣдов, и происходитъ араб. днн. сынъ** —

„შვინი“ არ არის ქართულში, შვილიც ნიშნავს არა ძეს, არამედ შობილს საზოგადოდ, ვინაიდან შუ—პირწავარდნილი საფარდოა არიულის **su**—შობა. შუა, შვა, შო. შვილი—შვილი მიმღობაა ხმნისა შვა და უღრის, როგორც ვთქვით, შობილს. ამიტომაც იგი აღნიშნავს ყველა ნაშობს:—ძეს, ასულს, ყმაწვილს, ბახალას, ლეკვს, ბოკერს და სხ. იქვე ავქსონი „შობილს“ აცხადებს მიმღობად ხმნისა „შვა“ (შენა), მაგრამ ეს შეცდომაა: შობილი მიმღობაა ხმნისა შობა, ხოლო შვა-ს მიმღობაა შვილი=შული (შეად. დაბეჭდული=დაბეჭდილი. ლაზური ბერე-ც (იხ. იქვე) აღნიშნავს არა ძეს მარტო, არამედ შვილს საზოგადოდ და წარმოსდგება იმ ძირიდან, რომლიდან მომდინარეობენ სიტყვები **ბა**—ბაობაულა, **ბავში**—ბოში—ბაღლი, ალბად თათრული ბალა-ც (ბალა=შვილი, ბა-ლი).

გვ. 5: სემ. ჰლთ **невѣстка**, ქართ. **სძალი** (სძალი).—

„სძალი“ მოგონილი ფორმაა, ხოლო სძალი ზოგიერთგან, მაგ., საინგილოში გამოითქმის **ზალ-ად**, რომელიც უახლოვდება სეანურს ზურად დედაკაცი, აგრეთვე ასულს, მეგრ. ო-სურ-კონი დედაკაცი.

არ არის ქართულში აგრეთვე სძიდვა (იხ. იქვე), ხოლო არის სიძვა (სიძვა) და ეს კი წარმოებულია ხმნადამ ზობა, ე. ი. შობა (პირუტყვთა შესახებ ითქმის), და აქედან სი-ძვა (ინგ. სიზვა) უკანონო, პირუტყვები შეერთება. ქართ. ზუ=ზო არის იგივე არიული **su** შობა, ზობა, შეად. ძუ—ძუი—ძუკა—რუს. **сучка** ზუე—ზუეკა (ინგ.) იერემ. 14, 5: ირემნი ველთა ზედა იზუებოდეს, ბერძნ. ელაფი ენ აგროეტეკოსან სლაე. **Ελενιцы на нивѣхъ роудиша**.

გვ. 5: სემ. ჰვ **свекоръ**, ქართ. სი-მური (სიამერი), სიამერი, სიამერი.— აქ ფესვად ჩნდება მხოლოდ **შ**. შეად. მამა—მეგრ. მუმა—სეან. მუ. სქესის აღმნიშვნელ ფორმებიდან მამრი, მდედრი წარმომდგარან სიტყვები სიამერი, სიდედრი. შეად.

ცოლისთვის ქპრის მშობლები:

- 1) მამა-მთილი, მეგრ. მუ-ნთილი, სეან. მი-მთილ
- 2) დედა-მთილი, მეგრ. დია-ნთილი, სეან. დი-მთილ

ქპრისთვის ცოლის მშობლები: სიამერი, სიდედრი.

მშობლებისთვის ქალის ქპარი: სიძე, ინგ. სი-ზე. მეგრ. სინ-ჯა, სეან. ჩი-ყე. მშობლებისთვის ძის ცოლი: სძალი, ინგ. ზალ.

გვ. 6: ჰჰ **ананіе**, **мудрость**, и **состѣтственно звучитъ груз. ჰჰუ (ჰჰეჰ) უმჰ**, **ჰჰუიანი (ჰჰეჰიანი) უმ-ნი**.—

ჰჰეჰე, ჰჰეჰეიანი ოცნების ნაყოფია, ხოლო ჰჰეჰე (ინგ. ჰჰეჰე) ედარება ხმნას ჰრა (მეგრ. ჰჰეჰე), აგრეთვე სიტყვებს

მჰრე (მეგრ. მი-ჰჰეჰალი), ჰჰეჰიანი=ჰჰეჰეი (ჰჰეჰეი). მითომაც მსოფლიოს ყველა ერებში გაივრნეს ცაცი ჰჰესის სიმჰრევის შესახებ: „ჰჰეჰე არ მჰრისა“, „მჰრული ჰჰესისა“. ჰჰეჰე უნდა ნიშნავდეს ჰრას, ჰჰეჰას, ჰჰეჰეჰას, ტვიფრვას.

გვ. 7: ჰ **д погнбъ, погубилъ, уничтожилъ**, ქართ. **სძალა уничтожилъ, и. коренилъ**.—

ქართული სძალა კი არის პირწავარდნილი ლათინური **spolare, spoliatus** **разоренный, опустошенный, бѣдственннй**.

გვ. 7: ჰრ **растолокъ, раздобрнлъ**, ქართ. სრისა.—

მაგრამ სრისა ეფარდება ბერძნულს **surgo, surrasso** (იგივე მნიშვნ.).

გვ. 9: სემ. ჰ **д одинъ**, ქართ. ცალი **одинъ**.—

გარნა ცალი ერთი კი არ არის, არამედ ორთაგან ერთი, ანუ წყვილისაგანი. შლეინერით ბერძნ. **eis**, ლათ. **simplex, semel, singularis** წარმომდგარან **san**-იდგან, ძირია **sa**. ქართ. ცალი ანუ, როგორც პეტრიწიონშია, ცალკეილი=ცანკეილი უახლოვდება იმავე არიულ ძირს.

გვ. 9, ჩვენი ავქსონი ქართ. სიტყვებში **ბოკვერი** გამოჰყოფს მის მეორე ნახევარს, რომ იგი გასემიტურის მიმსგავსებით „გვრ, ვგრ“-ისა. მაგრამ ამისთანა წწნებიდანც არა გამოდის—რა, ვინაი თგან ბოკვერი ნიშნავს არა თუ მარტო ლომის ლეკვს, როგორც გვრ, ვგრ, არამედ ვეფხის ლეკვსაც (იხ. ჭილილა და მანაში) და ფორმით ბოხვერა, ბილრა ყოველს ბანჯგვლიან ნადირს.

გვ. 9: სემ. ჰჰ **нѣтъ кислымъ**, ქართ. ომი (ცომპი) **закваска, тѣсто**.—

ხოლო ცომი კი არის პირწმინდა ინდიურ-არიული **zomos**\*) შეად. **ალქ-სანდრ. ტექსტ. ბიბლიისა:**

მათე 13, 33: **mia estin zvmi** მსგავს არს ცომ-სა

„ 16, 6 **propechete...** **zvmis** ეკრძაღნით ცომისაგან **блудитесь отъ кваса**

გვ. 9: სემიტ. ხრფ **срывать, обиралъ плоды, осень, ქართ. ცუ-რევა, კრიფა срывать плоды, კრეფა сбръ винограда, კრეფაზე осенью, კრება собрание, собиране, ლახ. გოროფუа собирать.**

მაგრამ კრეფა არის არა „სბორ ვინორადა“, არამედ შეკრეფა რისამე, ყურძნისა, ქვეყნისა, ადამიანებისა, მოკრეფა ჰჰესისა და სხ.

კრეფაზე არის „ოსენიუ“ კი არა, არამედ დასწრება ყოველგვარ ხილის მოკრეფაზე, მხოლოდ რთველი ყურძნის კრეფასაც ნიშნავს და ხან და ხან შემოღვრისა, ე. ი. ყურძნის კრეფის დროს.

ლაზურშია არა გოროფუა, არამედ კოობოფა (მეგრ. კოობოფა, ქართ. კრეფულა=კრეფა) და ეს სემიტ. ხრფ კი არ არის, არამედ ბერძნ. **karpeo** ხილის კრეფა, ხოლო თვით ქართ. კრება, აგროვება უახლოვდება ბერძნულს **αγρῖο** კრება, აგროვება.

გვ. 14: ჰრაბ. **нбд побуждалъ къ ч. л.**, ქართ. ნდობა (წდობა) **желаніе, უნდა ему нужно.**

ნდობა გახლავთ **дѣвріе** და არა **желаніе**, ხოლო სიტყვაში ნდობა ფესვი მხოლოდ **შ** შეად.

მინდა—გინდა—უნდა—მინა—გინა—უნა. იხ. რუსთაველი ტაყები 170, 351, 258, 578, 617, 1069, 1251, 1356.

ჩვენ გვაოცნებს ავქსონის მოხსენება (გვ. 16), რომ ვითომ ქართ. ზმნა—ქონა გვაძლევდეს ფორმას **აჰუნს**, და ვითომ ქართ. ზმნა შესდგებოდეს სამ-ხმოვან ასოსაგან და ეფარდებოდეს სემიტურს **ჰნ** ყოფნა. მაგრამ ქართულში იგეთი უმართლო ფორმა, ვით **აჰუნს**, არასოდეს არ



დავბრუნდით? — ამბობდა ეხლა კი ხმა მა-  
ლლა თავისთვის. — საცოდავ დედაკაცს  
ბავშვივით ხომ თავზე არ დავაწვებო?

ბავშვებს ლუკას ხომ არ წავაგრობებ?  
სიკვდილი ადვილია, არ მეშინიან... ზარ-  
ბახუნები ვერ მაშინებდნენ...

მიაღწია ნაცნობს ნაპირებს. შედგა...  
ხშირად, ძალიან ხშირად უბანგინა ამ  
მდინარეში. სანადვლოზე რამდენჯერმე  
ზედღებდა გალმა გასულმა ცურვით და  
გამოსულა. თვითუფლი მორევი მდინარე-  
სა კარგად იცოდა.

— აი ეს მორევი უფრო ღრმაა, ეს  
იქნება ჩემი სამარე. თუ ერთი ჩაითრია  
იღამიანი, აღარ გამოუშვებს... აქ დამხრ-  
ჩვალს თავის ღრეში ვეღარ იპოვნიან...  
ჩემ ცოლშვილს ჩემ დამარხვამდე ხარჯი  
აღარ მოუვა.

მართლა და მორევი ისე ტრიალებდა,  
რომ ერთი იმის დანახვა ადამიანს თავ-  
ზარის დასცემდა. წყალი ჯერ კლდის  
ებეთქებოდა, მერე უკან ვარდებოდა,  
წრეს ავლებდა, ძაბრის სახეს იღებდა და  
შემდეგ, თითქოს ქვეიდან ვინმე ძლიერ-  
რად უბერავსო, ისე შიშინებდა და ქა-  
ფად ქცეული მალა ამოდიოდა.

სინო მორევიში ვაღრმავდა. წყალმა ჯერ  
კლდის მიახალა, მერე უკან გადმოიხ-  
როლა, ჯარავებრ დაატრიალა, ძაბრის  
შუაგულში ჩაავლო და ზედ გადაეფარა.  
ძაბრში ქაფი ამოშინებდა, წყალმა სი-  
ნო ერთხელ კიდევ იმოკრინა მალა და  
მერე თავის საღმრთლობით სავსე ჯურ-  
ღმულში საუკუნოდ მიშალა.

ინ — ბანი.

### საზრანგეთის სტრატეგიული

„ერის თვალის ჩინი“.

ომის შედეგები განსაკუთრებული სი-  
მწვევით დაეტყო საზრანგეთს. რიცხვით  
ლარები ერი მაქსიმუმ ძალას ხარჯავს,  
რათა ამ უბედურებას ნაკლები ზარა-  
ლთი თავი დააღწიოს. ყველა მამაკაცი,  
ვისაც კი თოფის ტარება შეუძლია,  
ბრძოლის ველზე გავიდა და დარჩა მრავ-  
ალი ოჯახი სრულიად უპატრონოდ.  
მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს მიე-  
შელოს შინ დარჩენილებს და შეუშუ-  
ბუქის მძიმე ტვირთი უშვებინოს. გარდა  
იმ სახელდახელო დახმარებისა, რომელ-  
საც ყოველდღე ფულის გაცემის სახით,  
ჯარისკაცთა ცოლ-შვილებს აწვდის, რე-  
სპუბლიკის მთავრობა ზრუნავს შეიმუ-  
შაოს ისეთი წესი დახმარებისა, რომე-  
ლიც ვასტანს ვიდრე სრულიად არ წა-  
რიხობება შედეგები აწინდელის ომისა.  
დღეს საზრანგეთში მორიგ საკითხად  
არის წამოყენებული ისეთი დაწესებუ-  
ლების დაარსება, რომელიც რაციონულ-  
ად გაუძღვებოდესო ერის „თვალის  
ჩინის“ მოვლა-პატრონობას. ერის „თვა-  
ლის ჩინი“ ვახლავთ ფრანგებზე ბავშვები,  
ან სრულიად ობლად დარჩენილები და  
ან კიდევ ომში დასახიჩრებულ მშობლე-  
ბისა. ეს კანონი „ერის თვალის ჩინისა“  
წარდგენილია სენატში.

საერთო მოსაზრებათა ნაწილში, სხვა-  
თა შორის, ნათქვამია: „ომმა გაამრავალ-  
კეცა გლეხი და დავსებულ კერათა რი-  
ცხვი. მაგრამ ყველა მსხვერპლისაგან ერ-  
თი მსხვერპლი განირჩევა. იგი უფრო  
წმიდაა, უზალო, ვიდრე ყველა სხვა. ესენი  
არაიან ობლები. პირველი მოვალეობა,  
ქვეყნის დაცვის მოვალეობის შემდეგ,  
ამათი გემართებას. ეს მოვალეობა საჩქა-  
როდ მოითხოვს განხორციელებას“.

კანონ-პროექტი მარტო ობლებზედ არ  
შეჩერებულა; „ერის თვალის ჩინი“ მას  
უფრო ფართოდ აქვს წარმოდგენილი. იგი  
უხედა და მფარველობს 1) იმ სამხედრო  
პირებისა და მოქალაქეთა შვილებს, რო-  
მლებიც გარდაცვლილან ომის მიზეზით;  
2) იმ სამხედრო პირებისა და მოქალა-  
ქეთა შვილებს, რომლებიც, კრილობის  
წყალობით, საკუთარის გარჯით ვერ შე-  
სძლებენ თავის ჩრჩხლს და 3) იმ სამხე-  
დრო პირებისა და მოქალაქეთა შვილებს,  
რომელთაც, ომის წყალობით, დროებით  
ან სრულიად დაჰკარგვიათ შრომის უნა-  
რი ან კიდევ შემცირებთ იგი.

საგულსმინიერო ისაა, რომ კანონს  
ოჯახის კერა ხელშეუხებელი დაუტოვებია,  
იგი აღიარებს: „ბავში დარჩება ოჯახში,  
თავისთანაა წრეში, საზოგადოებრივი  
დამხმარება იქ მიუღია. თუ ბავშვი უღედ-  
მაშია, უნუტყვო ობოლი, მაშინაც ოჯა-  
ხურის წესის კერძო თაოსნობა უნდა მიე-  
შელოს მას და ექმნეს ყვერჯანადო“.

ამ შემთხვევაში მთავრობა ადასტუ-  
რებს იმას, რაც ცხოვრებაში თავისთავად  
მოხდა, მომბილზიკის პირველ დღეებში.  
მრავალი საზოგადოება შესდგა ამ დროს,  
რომელთაც ოჯახურ წიაღში მოაქციეს

მრავალი, უპატრონოდ დარჩენილი ბავ-  
შვი. საზრანგეთის პრესა მხურვალე თანა-  
გრძობით მიეგება „ერის თვალის ჩინის“  
შესახებ კანონს. არც ვასაკვირია! საფ-  
რანგეთი განსაკუთრებულად დაინტერე-  
სებულია ბავშვების მოვლა-შენახვაში,  
რადგანაც იგი ამ უკანასკნელ წლებში  
განმავლობაში რიცხვით თანდათან კლ-  
ბდებოდა. ყოველწლიურად შობილთა რიც-  
ხვი უფრო ნაკლებია, ვიდრე გარდა-  
ცვლილთა. ერი გადაშენების დაღმართზე  
გადმოეშვა.

ს — ია.

### ლოვის შავი

როგორც ვიცით, რუსებმა ლოვი  
დასტოვეს 9 ივნისს. ეს უმთავრესი ცენ-  
ტრი ვახლავთ აღმოსავლეთ-გალიციისა,  
რასაც რუსები საბოლოოდ შეერთებუ-  
ლად სთვლიდნენ და საკუთარ ადმინისტრ-  
ტრაციას აარსებდნენ. ადმინისტრატუ-  
ლად მოწყობის გარდა, ვახსოვს, თუ  
ველოვებ როგორ იშუამდგომლა სინოდ-  
თან, დაპყრობილ გალიციაში მართლმა-  
დიდებლობა შეეცანა. სხვათა შორის,  
ველოვი საქმიანე შეუღლა ამ დიდ მი-  
სის განხორციელებას. აი, ამიტომაც,  
რომ ლოვის დათმობას ეხლა რუსის  
ხალხზე უფრო მორალური გავლენა  
აქვს, ვიდრე სტრატეგიული. ამას ჰგო-  
ნობდნენ რუსები, ჰგოძობდნენ გერმანე-  
ლებიც და იმ იმედით, რომ რუსები  
ადვილად არ დაუთმობდნენ მას, დიდი  
ძალა ჯარებს უყრიდნენ თავს, რა არის  
ლოვთან ერთხელ და უკანასკნელად  
გაეტეხნათ და გაეწყვიტათ ცოცხალი  
ძალა რუსეთის მხედრობისა. ამანარია,  
ლოვი უნებურად სასტრატეგიო პუნქ-  
ტად გარდაიქცა და ცხარე ბრძოლის  
შემდეგ დათმობილ იქნა. აქ მის დათ-  
მობას სარჩულად არ სდებია „სტრატე-  
გიული მოსაზრება“, ეს ის მოსაზრებაა,  
რისთვისაც ხშირად უთმობენ ხოლმე  
ზოგიერთ გეოგრაფიულ პუნქტებს. ყუ-  
რი დაუფლონ რას ამბობს ამის შესახებ,  
„რუს. ვედ.“ სამხედრო მიმომხილველი  
ოვლინი: „ლოვი ჩვენ არ დაგვიტოვე-  
ბია სტრატეგიული მოსაზრებით, იგი ნაყო-  
ფი იყო ჩვენი ტაქტიკური დამარცხები-  
სა“. ამანარია, „ლოვის დათმობა,  
როგორც დამოუკიდებელი ბრძოლის ეპი-  
ზოდი, არ შეიძლება მიჩქმალოს, არც  
თუ რაიმე აზრი იქნებოდა ეს მარცხი  
მიგვემოლაო“, განაცხადებს იგივე ოვლი-  
ნი. ახლა საკითხია, რით გათავდა ბრძო-  
ლის კამპანია? დავამოყვებოდა ავ-  
სტრო-გერმანელები გალიციის გაწმენ-  
დით თუ მათ კიდევ სხვა რამ ფართო  
მოსაზრება აქვთ: ამის შესახებ რუსის  
სამხედრო მიმომხილველი ერთ აზრს  
აღვინა. რომ არა, ამით არ გათავდა.  
„ლოვის დათმობა გალიციის ბრძოლ-  
დასასრულს არა ნიშნავს. ეს ოპერაცია  
ჯერ კიდევ დაუმთავრებელია და თვის  
განვითარების ახალ ფაზაში გადადის.  
ლოვი თავის თავად არ იყო ავსტრო-  
გერმანელთა შემოტრევის უმთავრესი მი-  
ზანი და არც შეიძლება ყოველიყო...  
ლოვის აღების შემდეგ გაჩერება ყოვე-  
ლად შეუძლებელია, ან უნდა წინ წა-  
ვიდნენ, ან და კვლავ უკან დასახვედ  
უნდა განემზადნონ. თუ უკანასკნელ ორ  
კვირეში ლოვი უნებურად შეიშალა იყო  
ავსტრო-გერმანელთა შემოტრევისა, ეს  
მოხდა არა იმიტომ, რომ ლოვის განსა-  
კუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ,  
არამედ იმიტომ, რომ იმედოვნებდნენ,  
რუსები გადამწყვეტ ბრძოლას აქ მოგე-  
ცემენ და გავანადგურებთ ცოცხალ ძა-  
ლასაო. მაგრამ რუსებმა დასცალეს ლო-  
ვი. თქმა არ უნდა, ეს დიდ გავლენას  
მოახდენს დანარჩენ ფრონტზე დნესტრის  
გასწვრივ ბისტრიცაზე, ტისმენიცაზე,  
მიკოლაევის მხარეზე, ჟიდაჩოვ-ჟურა-  
ნოს რაიონებში, რომელნიც ლოვის დაშ-  
კეულ ფრთებთანაა ჰქონდა გამაგრებულო.  
ეხლა ამ ფრონტმა თავის თავად მნიშ-  
ვნელობა დაჰკარგა“, — ამბობს იგივე ობ-  
ლინი. მაშასადამე, გალიციის სრულს  
განწმენდის მოლოდინში უნდა ვიყვნეთ.  
ამას ამბობს კიროვიც. იგი გაცოცხ-  
ლია გალიციის ბრძოლით და უნებურად  
გვეკითხება: „რა ენერგია უნდა იყოს,  
რაოდენი ძალა. რა სამხადისი...“ და  
ამის შემდეგ შეიძლება თუ არა რომ  
ავსტრო-გერმანელები შეჩერდნენ და  
გალიციის გაწმენდით დაეკავიფლ-  
დნენ? არა: „მართა აზრი უფრო ფარ-  
თაა, ვიდრე ლოვის აღება და გა-  
ლიციის დაპყრობა. აბა დააქვრდით,  
ნუ თუ ვერ ამჩნევთ, უმთავრესად რა  
მხარეს სცემენ? რავა-რუსკა, ტომაშოვი,  
ხოლმა... ეს ხომ იმ გემის განახლებაა,  
რომელსაც ადგენენ ავსტრიელი პოლო-

ნეთისკენ რომ გაემართნენ, რათა ვარ-  
შავის გარშემო მდგარს ჩვენს ლაშქარს  
ზურგედან მოჰკეცოდნენ... კიროვის აზრს  
დასტურებს ოვლინიც. „დღეს ჩვენ იმ  
მდგომარეობაში ვართ, როგორც წარსულ  
წელს მარიაპოლისეში. ეს მზგავსება  
მით უფრო მტკიცდება, რომ გერმანე-  
ლები უმთავრეს ყურადღებას ჩრდილო-  
აღმოსავლეთს აქცევენ, ტომაშოვის მხრით.  
ეს ფრთად სამწუხარო მდგომარეობაა,  
მთა უმეტეს, რომ ეს ჰეულისხმობს მთე-  
ლი ათი თვის ნამუშევრის გაქარწყლე-  
ბას, ეს იმ ნამუშევრის რომელიც ასე  
წელს ნაბიჯით მოგვიპოვეთ...“ გა-  
ჩერდებიან თუ არა გერმანელები გალი-  
ციის გაწმენდის შემდეგ? აი ახალი თავ-  
სამტრევეი საკითხი. ერთად ერთი დიდი  
იმედი ის არის, რომ, როგორც ზემოდ  
აღნიშნული სამხედრო მიმომხილველი  
პიტირობენ, გერმანელთ იმდენი ძალ-  
ლოვნ არ შეჩერებათ, რომ მართლა ასეთ  
სახითათო და სერიოზულ ოპერაციას  
მოაქციონ ხელი.

### წაკრილი გათოვიდა

ბათომის ქალაქის სდომაზე 1 ივნისს,  
ხმოსანმა კ. გოგოლაძემ შემდეგი განა-  
ცხადა:  
„ბატონებო! როგორც მოგეხსენებათ,  
ქუთაისის გუბერნიის შიმშილობა

ამის შესახებ, ალბათ, წაიკითხავდით  
გაზეთებში. არ იქნებოდა მნიშვნელობას  
მოკლებული კავკასიის ქალაქების  
მოღვაწეთა ყრილობას, რომელიც ამას  
წინათ მოხდა თბილისში, ხაზი  
ვაქსევა ასეთ მდგომარეობისა თვის  
და სურვილი გამოეთქვა, რომ ვი-  
სიც ჯერ არ ჩქარი და საჭირო დახმ-  
რება აღმოეჩინა დამშეულთათვის. არ  
შეიძლება ითქვას, რომ ყრილობას არ  
ჰქონდა უფლება მოეხმინა ასეთი განცხა-  
დება და გამოეთქვა აღნიშნული სურვი-  
ლი, ვინაიდან ის ეპიდემიის საწინააღ-  
მდეგო ზომებს არკვედა და ვინ არ იცის,  
რომ შიმშილი ბუდევა ყოველგვარი ეპი-  
დემიისა. ყრილობის თავმჯდომარე,  
თბილისის ქალაქის თავმა, მოახსენა რა  
კრებას განცხადება, სწორედ ამ მიზეზით  
დასასაბუთა ყრილობის მიერ აღნიშნულ  
წინადადების მიღება. წინადადებაზე ხე-  
ლი მოაწერეს ჩრდილოეთ კავკასიის წარ-  
მომადგენლებმა და ზოგიერთ კომარა-  
ტორებმა. ქუთაისის გუბერნიის წარმომ-  
ადგენლებმა და მათ რიცხვში ჩვენმა  
წარმომადგენელმა, პატივცემულმა ჩვენ-  
მა ქალაქის თავმა, უარი სთქვეს და გან-  
ცხადებას ხელი არ მოაწერეს. მე აღშ-  
ოთებულად ვარ მათი ასეთი საქციელით.  
როგორც ბათომის ქალაქის საბჭოს ხმო-  
სანს, მე უფლება არა მაქვს ამ ალაგი-  
დან ვუსაყვედურო ქუთაისის გუბერნიის  
წარმომადგენლებს, მაგრამ მე უფლება  
მაქვს პროტესტი გამოვუცხადო ჩვენს  
წარმომადგენელს ასეთი მისი საქციელის  
განა“.

ქალაქის თავმა, თ-ნა ი. ანდრონიკა-  
შვილმა, ამის შესახებ შემდეგი განაცხადა:  
„მე არ შევარჩე ხმ. გოგოლაძემ, რად-  
გან მისი სიტყვა მე შემიხებოდა. რაც  
შეხება მისი განცხადების არსებით მხა-  
რეს, საქმე შემდეგი იყო: ჩემთან მო-  
ვიდა ვიღაც ჩემთვის სრულიად უცნობი  
პირი. გადმოცა ყრილობისადმი წარ-  
სადგენი განცხადება და წინადადება მო-  
ცა ხელი მომწერა. გავეცანი რა გან-  
ცხადებას, შევეკითხე უცნობს, რატომ  
არ მიშპროთა მან ქუთაისის გუბერნიის  
წარმომადგენლებს, რომელთაც განცხა-  
დებაზე ხელი არ ეწერათ. მან მითხრა,  
რომ მათ არ მოსურვებს ხელის მოწე-  
რაო. ამის შემდეგ ვუპასუხე, რომ მე  
არ ვიცი, რაშია საქმე, დავეკითხე ქუ-  
თაისის გუბერნიის წარმომადგენლებს მე-  
თქი. მართლაც შევეკითხე. ამის შესახებ  
ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენლებმა  
მითხრეს, რომ სრულიად არაა საჭირო  
ყრილობისთვის ასეთი განცხადების წარ-  
დგენა, ვინაიდან რაც საჭირო იყო, ყო-  
ველივე ზომა მიღებულია როგორც აღ-  
მინისტრაციის მიერ, ისე საზოგადოებრივ  
ორგანიზაციებისაგანაო. რა თქმა უნდა,  
მე უფრო დაუჯერე ქუთაისის გუბ. წარ-  
მომადგენლებს, ვინემ ჩემთვის სრულიად  
უცნობ პირს და განცხადებაზე ხელი არ  
მოვაწერე“.

ხმოსანმა კ. გოგოლაძემ თ-დ ანდრო-  
ნიკაშვილის განმარტების საპასუხოდ სი-  
ტყვა მოითხოვა, მაგრამ თ-დ ანდრონი-  
კაშვილმა ამის შესახებ მას ლაპარაკის  
უნება არ მისცა, თუ გსურთ, მაგის შესა-  
ხებ მიშპროთე პრესას და იქ ვიპასუხე-  
ბით, უთხრა მან ხმ. გოგოლაძეს.

3 ივნისს, საბჭოს სდომის შემდეგ  
თ-დ ანდრონიკაშვილს ხმოსანთა კერძო  
თათბირზე დახურულ კარებში აღუძრავს  
საკითხი: ნდობას უტყვადებს თუ არა მას  
ხმოსანთა უმრავლესობა მის მოქმე-  
დებაში, რომ მან ცნობილ განცხადებას  
ხელი არ მოაწერა. როგორც გადმოგე-  
ცეს, კერძო თათბირზე დიდი ჯახი ყო-  
ფილა. 19 ხმით წინააღმდეგ სამისა ხმო-  
სანთა კერძო თათბირს სრულიად შესა-  
ფერისად უტყვია თ-დ ანდრონიკაშვილის  
მოქმედება. (თ. ახ.).

### ლარიზ მონაწილეთა შიშით თბილისის გუბერნიის თავმჯდომარეთა საზოგადო- ბრიკის წევრთა ფილიპი კარბა.

15 ივნისს კრება გაიხსნა გ. გ. მალა-  
ლაშვილის თავმჯდომარეობით, სალამოს  
8 1/2 საათზე. წინააღმდეგ კრების ოქმის  
წყაითხვის შემდეგ კრება შეუდგა მორიგ  
საქმეების განხილვას. წაკითხულ იქნა  
საპენსიო კასის წესდების პროექტი, რო-  
მელშიაც კრებამ რამდენიმე ცვლილება  
შეიტანა და წინადადება მისცა გამეგ  
კომიტეტს და საპენსიო კასის გამგეობას,  
პროექტი დაამტკიცებინონ ან სათანადო  
მთავრობას და ან ნოტარიუსს. გამეგ  
კომიტეტის წინადადების თანახმად კრე-  
ბამ ერთხმად დაადგინა, მდლობა გა-  
მოეცხადოსთ ქ-ნ გურგენიძისას, რომელ-  
მაც ეკლესიის გასაუმჯობესებლად შე-  
მოსწირა გინანზისა 2000 მან. და ქ-  
ე. მ. ერისთავისას, რომელმაც თავისის  
ქმრის ათე. ნ. ერისთავის სხოვნის აღ-  
სანიშნავად 280 მან. შემოსწირა. შემ-  
დგ კრებამ განიხილა გამეგ კომიტეტის  
მოსხენება იმის შესახებ, რომ გინანზის  
დირექტორს ა. ბ. კიკინაძეს პენსიის  
დამსახურებაში ჩაეთვალოს 20 წლის წი-  
ნად ნამსახური 8 წელიწადი. მაგრამ  
ამისათვის თავრითა 1000 მანეთის შეტანა  
საპენსიო კასში. ეს თული შეტანილ უნდა  
იქნას 5 წლის განმავლობაში, წლიურად  
200 მანეთი. გამეგ კომიტეტმა, მიუღია  
რა მხედველობაში ბ-ნ კიკინაძის ნაყო-  
ფიერი მუშაობა, წინადადება მისცა კრე-  
ბას სხენებული 1.000 მანეთის კრებამ  
საზოგადოებამ იკისროს, რაიცა კრებამ  
შეიწყნარა. კრებამ შემდეგ მოისმინა სა-  
ზოგადოების რამდენიმე წევრისაგან შე-  
მოტანილი განცხადება იმის შესახებ,  
რომ სამღვთო საჯულის ქართულ ენაზე  
სწავლება მომავალ სკემბრიდანვე იქნას  
დაწყებული გინანზის ყველა კლასშიო.  
ა. ბ. კიკინაძისა და ა. მიქაბერიძის წი-  
ნადადებით ამ სავნის გადაწყვეტა მი-  
ენდო გინანზის პედაგოგიურ საბჭოს,  
ვინაიდან ჯერ-ჯერობით სახელმძღვა-  
ნელოებში არ ყოფილა ქართულს ენაზე.  
ჯერი მიღვა გამეგ კომიტეტის წევრების  
არჩევანზე. თავს ანებებენ კომიტეტის  
წევრობას თავ. ე. მაჩაბელი, თავ. კ.  
მაყაშვილი, პ. ი. გვერდწითელი და გ.  
გ. მაღალაშვილი. ამითავთ თავ. მაჩაბე-  
ლი ომშია, ხოლო კ. მაყაშვილს ბევრი  
სხვა საქმეც აქვს და კომიტეტში მუშაო-  
ბა არ შეუძლიან. პ. ი. გვერდწითელსა  
და გ. გ. მაღალაშვილს სთხოვეს სპ.  
ბაქრაძემ, დ. ლუმაძემ და ირ. რამიშვი-  
ლმა არ დასტოვონ თანამდებობა, რად-  
გან მათი მუშაობა კომიტეტში მუდამ  
ნაყოფიერი იყო და შემდეგშიაც ისინი  
საჭირონი არიან გინანზის კეთილდღე-  
ობისათვის.

არჩევნები გადაიღო შემდეგი დღის  
სალამოს 8 საათამდე.  
რედაქტორ-გამომცემელი  
სანდრო შანდუაშვილი

გაზეთები: 12 თბათვეს  
ტყემალი 2 მ.  
საქართველო 5 მ.  
ალბათი 5 მ.  
ლობიო 3 მ.  
კიტრი 100 ც. 8 მ.  
ნიორი 2 მ.  
13 თბათვეს  
ტყემალი 2 მ.  
ატამი 4 მ.  
კიტრი 100 ც. 7 მ.

კანეტის რეკონსტრუქციის მიმოსვლ  
(დრო ადგილობრივ საათით არის  
ნაჩვენები)  
თბილისიდან გადის: ორშაბათობით,  
შაბათობით და პარასკეობით; უკან ბრ-  
დება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით  
შაბათობით.

თბილისიდან გადის:  
თბილისიდან 8 ს. 13 წ. დღ.  
ნავთლ-ლ-ამიერ-კავ. 8 „ 40 „ „  
ნავთლ-ლ-კახეთ. 8 „ 58 „ „  
ვაზიანიდან 10 „ 06 „ „  
ივრიდან 21 „ 15 „ „  
საგარეჯოდან 11 „ 58 „ „  
ბალიურიდან 12 „ 56 „ „  
მელაურიდან 2 ს. 16 წ. სდ.  
გურჯაანიდან 3 „ 37 „ „  
კარდენახიდან 4 „ 12 „ „  
წნორის-წყალზე 4 „ 44 „ „

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.  
გურჯაანიდან 3 ს. 42 წ. სდ.  
ვანძაძიანიდან 4 „ 33 „ „  
თელავში 5 „ 27 „ „

თბილისიდან გადის:  
წნორის-წყლიდან 8 ს. 58 წ. დღ.  
კარდენახიდან 9 „ 41 „ „  
გურჯაანიდან 10 „ 24 „ „  
მელაურიდან 11 „ 39 „ „  
ბალიურიდან 12 „ 59 „ დღ.  
საგარეჯოდან 2 „ 80 „ „  
ივრიდან 2 „ 50 „ „  
ვაზიანიდან 3 „ 55 „ „  
ნავთლ-ლ-კახეთ. 4 „ 58 „ „  
ნავთლ-ლ-ამიერ-კავ. 5 „ 13 „ „  
თბილისში 5 „ 28 „ „

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.  
თელავიდან 8 ს. 54 წ. დღ.  
ვანძაძიანიდან 9 „ 25 „ „  
გურჯაანში 10 „ 07 „ „

ამიერ-კავკასიის რეკონსტრუქციის  
მიმოსვლა.  
(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში გადის:  
№ 3 ბაქოდან 12 ს. 54 წ. დღ.  
№ 4 ბათომიდან 5 ს. 55 წ. სდ.  
№ 5 ბაქოდან (სწრაფი) 7 ს. 41 წ. სდ.  
№ 10 ბათომიდან 9 ს. 51 წ. დღ.  
ჯუღთიდან 6 ს. 53 წ. დღ.  
ბორჯომიდან 7 ს. 25 წ. დღ.

თბილისიდან გადის:  
№ 3 ბათომისკენ 1 ს. 45 წ. დღ.  
№ 4 ბაქოსკენ 7 ს. 3 წ. სდ.  
№ 6 ბაქოს (სწრაფი) 12 ს. 8 წ. დღ.  
№ 9 ბათომისკენ 8 ს. 53 წ. სდ.  
ჯუღთისკენ 10 ს. 23 წ. სდ.  
ბორჯომისკენ 3 ს. 29 წ. დღ.

ქ ე ხ ი ღ ე თ ა ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა  
„მ ა რ თ ლ ი“  
„ქართლის“ კოპერატიულ მალაზიაში (ძველი სენინარის შენობა) ყოველდღე  
ჩამოიღის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიან შეიძი-  
ონ ყოველნაირი ხილი იფად.

თავისი გრეფიანი  
გ. გ. გეგელოვანი  
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.  
განყოფილება სპლანკარში  
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.  
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. შანილოვის-შვიტი“, სამრე-  
წველოებდან ახალი ქვირთის ხილია, მცირე მარლიანი, შავი „შეშოანი“  
ხილია, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარვა და ლოქო-  
გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა  
და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

გენდარტული სამხედრო ცენზორისაგან